პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №

..... 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი სანდრო ნერგაძე.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №12 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: **ბიქტორ გვეტაძე, ალეკო თამაზაშვილი, ლანა ჩიტიძე, შოთა ჯიშკარიანი** და **სანდრო ნერგაძე**, რომელთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.“.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

გ.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი – სამდივნო განყოფილების უფროსი

ჯ.ბიბილეიშვილი
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გ.სვანიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. **განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი:**

განკარგულების პროექტის მიღება განაპირობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში განხორციელებულმა ცვლილებამ. კერძოდ, ფრაქციის წევრთა მიერ ამ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი, სანდრო ნერგაძე.

2. **განკარგულების პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:**

წინამდებარე განკარგულების მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობაზე.

3. **განკარგულების პროექტის ინიციატორი:**

განკარგულების პროექტის ინიციატორია საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ჭიღვარია.

4. **განკარგულების პროექტის ავტორი:**

განკარგულების პროექტი მოამზადა საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა-სამდივნო განყოფილების უფროსმა ცაგური პატარიძემ.

5. **განკარგულების პროექტის წარმომდგენი საკრებულოს სხდომაზე:**

საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტს წარადგენს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბიბილეიშვილი.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი- სამდივნო
განყოფილების უფროსი

გ.სვანიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება"

წერილის ნომერი:**45-452621526**
თარიღი: **03/08/2026**

ადრესატი:

ჯემალი ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-იურიდიულ საკითხთა კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარეს, ბატონ ჯემალ ბიბილეიშვილს

ბატონო ჯემალ,

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 3 აგვისტოს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" შემადგენლობაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი სანდრო ნერგაძე.

გთხოვთ, შემდგომ რეაგირებას.

პატივისცემით,

დიმიტრი მხეიძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება" თავმჯდომარე